ნინო ბაქაქური

<u>განათლება</u>

- საქართველოს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი;
- კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრი, ნიუ-იორკი, აშშ; მიმართულება: საკორპორაციო სამართალი, ფასიანი ქაღალდები და კაპიტალის მარკეტი, საბანკო და საფინანსო სამართალი, საერთაშორისო სამართალწარმოება და არბიტრაჟი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) სამართალი და პოლიტიკა;
- საერთაშორისო სამართლის სტიპენდიანტი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სამართლის ცენტრში, ვაშინგტონი, აშშ
- სამართლის მაგისტრთან გათანაბრებული, თბილისის იურიდიული ინსტიტუტი
- ხელოვნების მაგისტრთან გათანაბრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი
- სიმონ ჯანაშიას სახელობის სტიპენდიანტი.

<u>სამუშაო გამოცდილება</u>

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეთა და ტრენერთა ტრენერი საკორპორაციო სამართალსა და დავების გადაწყვეტაში, ევროკავშირის სამართალსა და მართმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, შრომის სამართალსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებში, ქალთა უფლებებსა და გენდერთან დაკავშირებულ საკითხებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კვალდაკვალ.

<u>დამატებითი ინფორმაცია</u>

- ჩაბარებული აქვს საქართველოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალობით, საქართველოს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალობით და ნიუ-იორკის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. აქვს ნიუ-იორკის შტატში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება;

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევამდე ახორციელებდა სამოსამართლო საქმიანობას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს საგადასახადო და ადმინისტრაციული სამართლის პალატაში;
- იყო თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სკოლების მოწვეული ლექტორი, ასევე კავკასიის უნივერსიტეტისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლების ასისტენტ-პროფესორი სამოქალაქო საპროცესო, საკორპორაციო და შედარებითი საკორპორაციო სამართლის მიმართულებებით;
- არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარების, ასევე საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელოს თანაავტორი.

- მოსამართლედ არჩევამდე იყო პარტნიორი იურიდიულ ფირმაში-„ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები"; საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის კომერციული და საგადასახადო კომიტეტის სამართლებრივი ექსპერტი; საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამართლებრივი მრჩეველი; საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის საბანკო კომისიის თავმჯდომარე; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე და ბორდის წევრი; დამოუკიდებელი და გამჭირვალე სასამართლო სისტემის კოალიციის თავმჯდომარე; საქართველოში საფრანგეთის კომერციული და ინდუსტრიული პალატის ბორდის წევრი; საქართველოს ანტიძალადობრივი ქსელის დამფუძნებელი წევრი; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის წინააღმედ პროგრამის დირექტორი; Management Systems International, INC-ის სამართლებრივი ექსპერტი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჯგუფის (**GlobalRights)** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ინიციატივის მონაწილე; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრის უფროსი, უფროსი იურისტი, ქალთა უფლებების კლინიკის დირექტორი და ადამიანის უფლებებზე ცნობიერების ამაღლების პროგრამის ასისტენტი.

- ევროპის საბჭოს დონეზე იყო მართმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის, ევროპის საბჭოს მართმსაჯულების ხარისხზე მომუშავე ჯგუფისა და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

- ექსპერტისა და მოდერატორის რანგში მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე ათეულ საერთაშორისო/ ეროვნულ კონფერენციასა და პროგრამაში.